№ 26

შაბათი, 4 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 26

შაბათი, 4 თებერვალი 1895

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.

კვირას, 5 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ. საფაროვისა, ავალიშვილისა და ბ-ნ აბაშიძისა და ალექსეევ-მესხიევის მონაწილეობით საზოგადოების თხოვნით

I

ცუბრალოდ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარ. მაჭავარიანისა.

II

გულმა იგრძნო

ვოდევილი 1 მოქმედ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: ალექსეევ-მესხიევი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ორი დარაჯი“ დრამა 3 მოქმედ. და „მუშაკი და ნებიერი“ დრ. 4 მოქ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

(2—1)

წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა ბ-ნის ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხმის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(3—6—1)

ქართული თეატრი ქუთაისში.

კვირას, 5 თებერვალს, ხარაზოვისეულს თეატრში

ბ-ნი ა. ე. ნებიერიძე გაჰმართავს ქართულს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება:

I

ახალი პიესა

ძველი და ახალი თაობა

კომ. 3 მოქმ. ა. ნ—ძისა-

II

ცდა ბედის მონახევრეა

კოდ. 1 მოქმ.

III

ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნებიერიძისა, კანდელაკისა და სხ. ბ-ნნი ნებიერიძე, დ. მესხი, ბალანჩივაძე, ქუჯი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

## ახალი ამბავი

**. ჩვენ შევიტყეთ, რომ ინჟენერ ფლორინსკის მსახურის მკვლელები 2 თებერვალს, დილის 5 საათზედ პოლიციის მოხელეს იუსუ ზუბალოვს პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან შეუპყრია. ესენი აღმოჩნდნენ ტფილისის მოქალაქენი ვასილ და ადამ რომანაშვილები, რომელნიც მე 3-მე განყოფილების გამომძიებელს მეტეხის ციხეში დაუპატიმრებია. ამ დამნაშავეთაგან ჩადენილი საქმე თავის დროზედ გვქონდა მოხსენებული ჩვენს გაზეთში.

*** კავკასიის რკინის გზის სხვა-და-სხვა ნაწილთა უფროსებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც თავში უდგას თვით ამ გზის უფროსი, ამ დღეებში ბაქოს ნაწილის ყველა სადგურებს დაათვალიერებს, რათა ზედმიწევნით გამოარკვიოს ამ უკანასკნელთა საჭიროებანი.

*** ყარსში რკინის გზის გაყვანის მუშაობა ამ დღეებში დაიწყება; მუშაობა წმიდა ბარბარესთან მტკვარზედ გასადებ ხიდის ბურჯის საძირკვლის ჩაყრით დაიწყება. საძირკვლის ჩაყრას დაესწრებიან ადგილობრივნი წარმომადგენელნი უფლებისა და კავკასიის რკინის გზის მმართველობის მოხელენი. ხიდის გაკეთება იჯარით აუღია ბ-ნს ანდრეოლლეტტის და ტფილისიდგან რაც ამ ხიდამდის ნაწილია, მისი და აგრეთვე თვით ხიდის გაკეთების მეთვალყურეობა და გაკეთება მინდობილი აქვს ინჟენერს თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილს.

**. 28 თებერვალს ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად ორი საქმე „ნოვოე ობოზრენიე“-ს რედაქტორად ნამყოფის ბ-ნ უსპენსკისა, რომელიც თავისს გაზეთში ზოგიერთებს პირადად ეხებოდა და არცხვენდა თურმე. პირველს საქმეში ამტყუნებს მას ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი, ხოლო მეორეში ბათუმის მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი გუსსონი. ამ უკანასკნელს საქმეში პასუხისმგებელად მოწვეულია ნ. ნიკოლაძეც.

*** დეკანოზმა იოანნე სერგიევმა (კრონშტადტელმა) გამოუგზავნა ტფილისის „ბაგი“-ს საზოგადოებას ბავშვთა დღიურ თავშესაფარის სასარგებლოდ 100 მ.

*** ხიდისთავი, (ოზურგეთის მაზრა): ჩვენში მშვენიერი დღეებია, თოვლი თვალითაც არ გვინახავს.

ამ წლის „ივერიის“ მე-11 №-ში დაბეჭდილია ამბავი, ვითომ დაზარალებულს გიტო კალანდაძეს, რომელსაც სახლი დაეწო, მამასახლისმა და ვაჭარმა თეიმურაზ კალანდაძემ აუშენეს სახლიო, გამოდგა, რომ ამათ-კი არა, მთელს სოფელს აღმოუჩენია დახმარება.

**. კავკასიის რკინის გზის უფროსს ა. პუშეჩნიკოვს ბრძანება გაუცია, რომ რკინის გზის ექიმებისაგან წამლობის მიღება და ამ გზის საავადმყოფოებში უფასოდ წამლობა მხოლოდ რკინის გზის მსახურთა ცოლებს, შვილებსა და დედებს შეუძლიანთო. ამ ბრძანებით აქ მსახურთა

## ფელეტონი

### მხდალი.

(კატულ მენდესისა)

...ჩქარა შუა ღამე იქნება... ლამპარი მკრთალად-ღა ანათებს კედლის კუთხეს, რომელშიაც ბ-ნი არჟელესი დაღალულ-დაქანცული თითქმის სთვლემს; შეჰყურებს ქალი არჟელესს და ბედნიერადა ჰგრძნობს თავისს თავს. მაგრამ ეს ბედნიერება საზარელია! ძნელი წარმოსადგენია, რაც მან უკვე გარდასწყვიტა... ის დღემდის პატიოსანი დედაკაცი იყო და, როგორც პატიოსანს ცოლს კაცისას, რომლის ერთად-ერთს სიხარულს და სიამაყესაც შეადგენდა, იმას ყველა ნაცნობი პატივსა სცემდა. დიახ! მაგრამ ეს იყო ბინდისას, როდესაც მოსამსახურეს უბრძანა, ავადმყოფ დედასთან მივალო, და ქურდულად გაშორდა ქმრის სახლს!... მესამე ქუჩის მოსახვევში ეტლი ელოდა, ჩაჯდა ეტლში და შიშისაგან მთლად აკანკალებულის ხმით მიაძახა მეეტლეს, „გარეკეო“! ეტლი არჟელესის სახლთან გაჩერდა. გადმოხტა, ამოიღო გასაღები, რომელიც გუშინ საღამოზედ ანტრაქტის დროს გადასცა არჟელესმა ოპერაში, ქურდულის სიფრთხილით გაუღეთა კარებს, თითქოს კლიტესა სტეხს და გასაღების მაგივრად ლურსმანი უჭირავსო. მოუსვენრად იცქირებოდა თავისს გარშემო, თითქოს ეშინოდა, არ დამიჭირინო... მაგრამ აგერ გაალო ბაღის კარები, ყვავილოვანი ეზოც გაიარა. ეხლა პირველს სართულშია და სიყვარულის ხვევნა-ტლოშნითა სტკბება. ოჰ, რა ძვირფასი რამ არის ეს ქურდულად მოპარული წამები!..

— დიაღ! ჰფიქრობს ის: სატირალია ეს ჩემ-მიერ დაკარგული პატიოსნება, პატივისცემა, სულის სიმშვიდე,—მაგრამ არა უშავს რა! სამაგიეროდ, არჟელესს უფრო მეტი უბედურება, საზარელი შედეგი მოელის. კარგად ვიცნობ ჩემს ქმარს. ვიცი, რომ ის ცეცხლია და ხელი არასოდეს არ აუთრთოლდება!.. ჩემი ქმარი სრულიად არ ეკუთვნის იმ ხალხს, რომელიც ყოველ-გვარს შეურაცხყოფას ურიგდებდა. ის მოჰკლავს უთუოდ სიბრაზისა და სასოწარკვეთილებისაგან აღელვებული ან არა და თითონვე ითავაზებს შუბლში ტყვიას?... ის მოჰკვდება და ან ტანჯვით უნდა ჰლოშნიდეს თავისის ქმრის მკვდარს სხეულს...გვიან-ღაა... შორს, შორს ჩემგან, შავო ფიქრებო! მე მსურს, რომ მიყვარდეს და მეც ვუყვარდე! ის ბედნიერება, რომელიც დღეს გამოვცადე და კიდევ მრავალჯერ გამოვცდი, სიცოცხლეზედ მეტადა ღირს! ოჰ, მხურვალე კოცნახვევნის წამებო! როგორ მაგრად მიიკრა გულში სულ ერთის წამის წინად არჟელესმა და როგორ აძლევდა იმედს, სამუდამოდ მხოლოდ შენ მეყვარებიო! დიაღ, არჟელესი მას არასოდეს არ უღალატებს და თვით სიკვდილის შემდეგაც-კი ეყვარება! არჟელესი ეხლა სრულიად გამოიცვალა! მართალია, წინად სუბუქის ხასიათისა იყო, მეტის-მეტი მოარშიყე, მაგრამ ეხლა-კი... დიდი განსხვავებაა! ეხლა მას უყვარს, დიაღ, უყვარს! ჰფიცავს, რომ უყვარს! ეს ექვსის თვის განმავლობაში მუდმივის თავგანწირულის არშიყობითა და ხვეწნა-მუდარით დაამტკიცა მან. დიაღ, არჟელესი ყოველთვის მას ეკუთვნის, როგორც თვით ეს მას. დეე, დანაშაულად ჩაეთვალოს ეს სიყვარული, იგი მაინც დიადია! ბედნიერება, აი რა არის იმათი გამამართლებელი!

იმ დროს, როდესაც ის ასე ამაყობდა თავისის დანაშაულის სიდიადით და ბედნიერებით, რომელიც ამ დანაშაულმა აგემებინა, საათმა 12 დაჰკრა; საათის ხმაზედ არჟელესს გამოეღვიძა, ოდნავ დაამთქნარა და თვისს ნაზად მოალერსე საყვარელს ამ სიტყვებით მიჰმართა:

— ოჰ, რა სწრაფად მიფრინავს ეს ბედნიერი წამები! ვაი, ძვირფასო! დროა, წახვიდე.

ქალი შეკრთა, უკან დაიწია და არჟოლესს შეჰხედა; იმას აღარა ესმოდა-რა.

— წავიდე?.. რა?.. წავიდე?

— რასაკვირველია, ჩემო ტურფავ! ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოსამსახურეებმა ეჭვი არ აგართვან და მეორე კიდევ იმიტომ, რომ ქმრის დაბრუნებამდე შინ იყო.

სასოწარკვეთილების მწარე კივილი აღმოჰხდა მას გულიდგან. როგორც იყო კანკალით დაიგდო ზემოსასხამი; მთლად ფერ-მიხდილმა, როგორც სიკვდილი, ათრთოლებულის და აცახცახებულის ხმით დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

— შეიშალე! დაგტოვო შენ... წავიდე, წავიდე, რომ მოსამსახურეთ ეჭვი არ ავაღებინო? წავიდე, რომ ქმარზედ ადრე ვიყო შინ? რას ამბობ?! რის მოსამსახურე, რის ქმარი! სად-ღა მყავს მოსამსახურე? ან თუ არ გავწყვიტე ქმართან კავშირი?!. შენ მითხარ: „მოდი“.—მეც მოვედი... და ამის შემდეგ კიდევ შინ? სად არის ჩემი სახლი? ამ სახლიდგან მხოლოდ შენთან ერთად შემიძლიან გასვლა! სადაც შენ,—იქ მე! ჩემი სახლი აქაა. თავ-შესაფარიც რომ არა გქონოდა, მაინც წამოვიდოდი და შენთან ერთად ვიხეტიალებდი! მოგშორდე შენ? არა! მე უთუოდ ვერ გავიგონე, შენ ამას არ იტყოდი! მითხარი... არა? ჰა?.. ხმას არა მცემ?.. პასუხს არ მაძლევ?.. თავს მარიდებ?.. მაშ ეს მართალია? მაშ, გინდა მოგშორდე დღეს... ხვალ-კი ისევ შენთან ვიყო... ხვალ-ზეითაც? შენ გინდა, რომ ქმარს ასე უთხრა: „მადლობა ღმერთს, დედა უკეთ არის“ და მერე-კი, როდესაც მასთან დავიძინებ, ახალს მიზეზებს ვიგონებდე, რომ კვლავ შევიძლო შენი ნახვა? ოჰ, საცოდავო ქმნილებავ! ოჰ, მე ყველა უბედურებში, უბედური! შენ ჰფიქრობდი, რომ შეგძლებოდა, სიყვარულით დავმტკბარიყავით იმ წამებში, რომლებიც მე ისე დაბლად, ქურდულად უნდა მომეპარა ქმრისათვის? განა შეგეძლო, ასე გეფიქრა? განა შეგეძლო წარმოგედგინა, რომ ჩემთა ბაგეთა კოცნით დასტკბებოდი, მაშინ როდესაც იქნება არც-კი გამციებია ჯერ ქმრისაგან ნაკოცნი ბაგე; ან თუნდ შენს შემდეგ ის მაკოცებდა?! დიაღ, მესმის ეხლა! შენ გინდა, რომ ფრთხილად, ქურდულად, ფარულად მიყვარდე! გინდა, რომ ყველა ეს ცბიერის ღიმილით დავფარო, ვიცრუო, მოვატყუო, ვუღალატო! ვიცი, ვიცი; არიან იმისთანა დედაკაცებიც, რომელნიც საკუთარის პატიოსნებისათვის არა ჰზრუნავენ და ეს საძრახი პირფერობა შეუძლიანთ, ოღონდ გარეგანი ზრდილობა დაჰფარონ. ყოველისფერი დაგვეთმობა,—ამბობენ ეს ქალბატონები, ეს ტარტუფის (თვალთმაქცი) ქალები, ოღონდ-კი არ შევრცხვეთო! ისინი, ვითომ-და სალოცავად მიდიან, სქელს პირბადს აიფარებენ, ეტლში სხდებიან და randez-vous ზედ მიჰქრიან; და იმავე დროს პუდრის კოლოფს არ ივიწყებენ, რომ შინ დაბრუნებისას კოცნისაგან დაყოლილი სიწითლე დაჰფარონ! ის ვინ არ იცის, ამგვარ ცოლების ქველმოქმედება რისაგან არის შეხლართული?! მართალია, ისინი მარდები არიან: ლაპარაკში, მიხვრა-მოხვრა და სხვის ცქერაში ყოვლად ფრთხილები; თავს აჩვენებენ, ვითომდა სრულიად არ იც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე წლოვანს ძმებს, დებსა და მამებს სრულიად ესპობათ საშუალება უფასოდ წამლობისა. რკინის გზის მსახურთ ჯამაგირი ძალიან მცირე აქვთ, როგორც ვუწყით, და თუ ავადმყოფის წამლობაში მათ ყოველს ექიმის რჩევაზედ 25 კ. და დღიურად საავადმყოფოში წოლისა 60 კ. ახდევინეს, ეჭვი არ არის, იგინი მკურნალთა დახმარებას სრულიად მოკლებულნი იქმნებიან. ნუ თუ სიმართლე იქმნება, რომ გზის ყარაულის გაჭირვებული და, ან ძმა მცირე ჯამაგირიან ტელეგრაფისტისა უწამლოდ, უშემწეოდ რჩებოდნენ ასეთს უდაბურს და მიყრუებულს, მივარდნილს სადგურებზედ, როგორიცაა სანლაჩალა, ალიათი, სალოღლი და სხ. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ასეთის ბრძანების გამო, მცირე-წლოვანნი ავადმყოფნი მუდამ უწამლოდ და უექიმოდ დარჩებიან და რკინის გზის მსახურთა შორის თავისუფლად გავრცელდება სხვა-და-სხვა გადამდები სენი: ყელჭირვება, ქუნთრუშა, წითელა, სახადი და სხვანი. ჩვენის აზრით ასეთი მოვლენა მავნებელი და მაზარალებელია არა მარტო რკინის გზის მსახურთათვის, არამედ მთელის ახლო მცხოვრებ ერისათვის, რადგანაც სოფლელები მუდამ ჟამს ამ მოხელეებში ტრიალებენ, მიდი-მოდიან ერთმანეთშიო, ამბობს „ტფილ. ფურც“-ი.

სამკურნალო-სასანიტარო სამსახურის წესდებაში სწერია: „უფასოდ წამლობის ნება ეძლევა მსახურის მთელს ოჯახობასაო“. ეჭვი არ არის, ოჯახობას შეადგენენ, როგორც ცოლი, შვილები და დედა, ისე დები, ძმები და მამა, და ბ-ნის კავკასიის რკინის გზის უფროსის ბრძანება ამ შემთხვევაში ვერაფერს სამსახურს უწევს ამ ძალად ოჯახის წევრობიდგან გამორიცხულთ («ტფილ. ფურც.»).

*** ქ. შამახია: ყაჩაღობას და ძარცვა-გლეჯას ჩვენში ძლივს მოეღო ბოლო, რადგანაც ორივე ბრბო ყაჩაღებისა, რომელნიც თავისუფლად დანავარდობდნენ და იკლებდნენ შამახას და ახლო-მახლო მაზრებს, მოისპო: შვიდნი მათგანნი ერთს დღეს მოჰკლეს, ზოგი შეიპყრეს და ზოგიც სპარსეთში გაიქცა. მათის მოსპობით მოისვენა 15 სოფელმა, სადაც ორას კომლამდე მეტი იყო იმ ვაჟბატონებისაგან აკლებული... როგორც ხმა დადის—სოფლის მოხელენი მხარს აძლევდნენ მათ და მითი იყვნენ აქამდის ფეხ-მოდგმულნიო.

*** იქიდგანვე: წრეულს აქეთკენ ძალიან კარგი მოსავალი იყო, ასე რომ ახლაც „ტაგანი“ პური (25 ფუთი) პირველის ხარისხისა ჰღირს არა უმეტეს 12—15 მანეთი და ქერი კიდევ 8—10 მან.

აგერ თვე-ნახევარზედ მეტია, რაც აქეთკენ მშვენიერი დარები სდგას და თბილა, სულ არაფრით განირჩევა გაზაფხულიდგან.

*** ქ. პეტიგორსკი: ნახევარზედ მეტი ზამთარი ისე გავიდა, რომ თოვლი თვალით არ გვინახავს; არა თუ თოვლი, 28 იანვრამდის ისეთი თბილი ამინდები იყო, რომ ბევრჯელ მაისშიაც არ ყოფილა აქ ასეთი მშვენიერი ამინდები 8—10 გრადუსი სითბო იყო 27—28 იანვრამდის. 28-ს საღამოს-კი მოვიდა თოვლი და უცებ ისე აცივდა, რომ 10 გრადუსი სიცივე არის.

## კორესპონდენცია

**ქ. ფოთი.** ერთს სატახტო გაზეთში ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ მთავრობამ ფოთის ნავთ-სადგურის ასაშენებლად ოთხი მილიონი გადასდო, რომლიდგანაც წელიწადში ამდენი-და-ამდენი ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოსო. ეს ამბავი ტფილისის გაზეთებმაც გადაბეჭდეს დიდის ზარზეიმით და აქედგან ფოთელებმაც გაიგეს, რაც დიდად გაუხარდათ.

31 წარსულს იანვრისას, საბჭოს სხდომაზედ ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ გააგებინა ფოთელებს, რომ არც ერთი გროში სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის წლევანდელს ანგარიშში არ ყოფილა შეტანილი ფოთის ნავთ-სადგურის ასაშენებლად. ისკი არა ინჟენერთა საბჭოს არც-კი განუხილავს თურმე პროექტი ამ ნავთ-სადგურის გადაკეთებისა. ეს ცნობა ბ-ნს ქალაქის მოურავს ოფიციალურად მოჰსვლია საკომერციო პორტების აღმშენებელ კომისიისაგან (Комиссія по устройству коммерческихъ портовъ), რომლისათვისაც უთხოვნია, ფოთის ნავთ-სადგურის ახლანდელი ვითარება მაცნობეთო..

გამოაცხადა ეს ქალაქის თავმა და თან დასძინა: „როგორც ხედავთ, ფოთის ნავთ-სადგურის გაკეთების საქმე ისევ იმავ მდგომარეობაშია, როგორადაც ამ ათის წლის წინად იყო, წარმატება არაფერში ეტყობა. ამიტომ ჩვენ თითონ ვსცადოთ ამ ყოვლად საჭირო და სასარგებლო საქმის გაძღოლა და დაბოლოება. ამოვირჩიოთ მცოდნე კაცები და მივანდოთ გამორკვევა იმისი, თუ როგორ და რანაირად შეგვიძლიან, რა საშუალებას უნდა მივმართოთ, რა წყარო უნდა აღმოვაჩინოთ, რომ მთავრობამ ნავთ-სადგურის აშენების ნებართვა მოგვცესო“. საბჭომ, ყოველთა განსაცვიფრებლად, უდავოდ და ულაპარაკოდ მიიღო ეს წინადადება და ზემოხსენებულის საგნის გამოსარკვევად აირჩია: თითონ მოურავი ბ-ნი ნიკოლაძე, ხმოსნები: გლინკა, ლეხნიცკი, შესტერიკოვი, დიდია და სხვ.

მეორე საყურადღებო საგანი, რომელიც ამავე სხდომაზედ იქმნა განხილული, გახლდათ შუამდგომლობა აქაურის ბერძნის კიმონ გილისა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ფოთის ნავთ-სადგურში გემების დაცლა-დატვირთვის უფლება მომანიჭეთო. ეს შუამდგომლობა ბ-ნმა გუბერნატორმა გადმოსცა აქაურს საბჭოს მსჯავრ-დასადებად.

თხოვნა ბ-ნის გილისა ხელოვნურის მჭევრ-მეტყველობით იყო დაწერილი. ამ თხოვნას მხარს უმშვენებდა და ზურგს უმაგრებდა აზრი ბ-ნის მეიერისა, რომელიც კვერს უკრავდა გილს და ამტკიცებდა თავისს ეპისტოლეში საბჭოს მიმართ, რომ თხოვნა გილისა, თუ ხაზინის ინტერესს მივიღებთ სახეში, შეწყნარების ღირსიაო... საბჭომ გამოარკვია და ცხადად დაინახვა ყველამ, რომ გილის შუამდგომლობა საკუთარს მუცლის ტკივილზედ თურმე იყო აგებული და არავითარი სხვა საგანი და მოსაზრება არა ჰქონდა. ხმოსანმა მენდლმა ძალიან ნათლად დახატა ის ზარალი, რაიცა მოჰყვებოდა გილის თხოვნის შეწყნარებას კერძოდ ფოთისათვის და საერთოდ საზოგადოებისათვის. ხოლო გლინკამ აღნიშნა ის უხერხულობანი, რომელიც ხაზინისათვის იქნებოდა მოსალოდნელი. გამგეობა თავიდგანვე იყო ამ აზრისა და შუამდგომლობა გილისა, მეიერის მიერ კვერდაკრული, ერთხმად უარ-ჰყო. საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო საბჭოს ასეთი გარდაწყვეტილება, რომელშიაც დაინახა „ქმნა მართლისა სამართლისა“.

ლ. წულაძე.

**დ. ლანჩხუთი,** (ოზურგეთის მაზრა): ეს ის ლანჩხუთია, რომელიც ამ ორი წლის წინად ბ-ნ ა. ჭანჭათელის სიტყვით რამდენსამე ჟურნალ-გაზეთს იწერდა. დღეს-კი ყველა ამას მოკლებულია ლანჩხუთი. მარტო ერთს სამკითხველოს მოსდის „ივერია“ და „კვალი“, კერძო კაცს-კი ვერა ჰნახავთ, რომ გაზეთს იწერდეს. რა არის ამისი მიზეზი? რისთვის დაანებეს ყველა ამას თავი აქაურებმა? ამისი მიზეზი, რასაკვირველია, სამკითხველო არის, რომლის მიზეზით ჟურნალ-გაზეთის გამოწერას თავი დაანებეს და მარტო აღლისა და ჩოთქის ხმარების მეტს არაფერს არ აკეთებენ. აქაურს ვაჭარს რომ ჰკითხოთ, გაზეთს რატომ არ იწერო,— გიპასუხებთ; „აი აგერა მაქვს მუქთი სამკითხველო, რომელშიაც გროში არ დამეხარჯება, ისე წავიკითხავ და გაზეთის გამოწერას-კი 10—15 მანეთი უნდაო“. ნეტავი ამ სამკითხველოში მაინც შედიოდნენ და კითხულობდნენ რასმე!

აგერ ორი წელიწადია, რაც სამკითხველოა დაარსებული, მაგრამ არცკი შეუხედნიათ, რაა შიგ და რა არა, მჭადია თუ ლობიო, „ჩოთქია“ თუ „არშინი“. თუ ვინმე წარსულ წელში იწერდა გაზეთებს იმ აზრით, რომ არავინ დამძრახოსო, ორმოცი ათასი მანეთის პატრონი ვარ, 5—6 მაღაზია საქონლით სავსე მაქვს და ერთს გაზეთს, თუნდაც არ წავიკითხო, მაინც გამოვიწეროო...

ს. ნიგოითში რამდენიმე ნომერი „კვალი“ და „ივერია“ მოდის, ლანჩხუთში არც ერთი. რა მიზეზია? ლანჩხუთელები უფრო მეტი უნდა იწერდნენ, ვიდრე ნიგოითელები. ლანჩხუთში უფრო მდიდარი ხალხია, უფრო შეძლებულები და უფრო კაპიტალისტები, მაგრამ როგორცა სჩანს, ღარიბს ხალხზედ უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონია გაზეთს, ვიდრე მდიდარზედ. ავიღოთ, მაგალითად, ის ვაჭარი, რომელსაც ოცი-ათასის მანეთის შეძლება აქვს და ისიც, რომელსაც ერთი გროში არ მოეძებნება თავისისის მუშაობის გარდა. მდიდარს

---

ნობენ იმათ, ვინც უყვართ, არავის რასა სწერენ, და იმავ დროს-კი, საყვარლისაგან მიღებულს წერილს მზრუნველობითა ჰსპობენ! მაგრამ მე მათ არ ვეკუთვნი! წარსულთან კავშირი გავსწყვიტე... უკან დაბრუნება არ შეიძლება, და გემებიც დამწვარა! დეე, დამნაშავე ვიყო, მაგრამ იცოდე, ზნეობით მაინც დაცემული არა ვარ! პირფერობა სრულიად არა მსურს! შორს ჩემგან სიცრუე! დეე, დამცინონ, შემიძულონ! დეე, დამატყდეს მე თავზედ რისხვა,— ყველას ავიტან; მაგრამ მატყუვრობა, პირფერობა-კი არასოდეს არ შემიძლიან! საქვეყნოდ აღვიარო ჩემი სიყვარული,—აი ჩემი ერთად-ერთი ბოდიშის მოხდა! მსურს მხოლოდ, შენი გამბედაობამაც ჩემმა გამბედაობამდე მიაღწიოს! ჩემი გული და ის თავდავიწყებულის სიყვარულის წამნი, რომელთა გამოც შენ ჩემი მოვალე ხარ, ღირს იმად, რომ ჩემით იამაყო, საქვეყნოდ ხმა აიმაღლო შენს ბედნიერებაზედ! წინააღმდეგს შემთხვევაში ან არ გიყვარვარ, ან არა და მხდალი ხარ!

ყველა ამას ის მთლად აკანკალებული, საშინლად აღელვებული და ფეხზედ მდგომარე ეუბნებოდა.

მაგრამ გაჩუმდა იგი. ეხლა სიტყვა ბ-ნს არჟელესს ეკუთვნის. ოჰ, ეს საზოგადოების ნამდვილი დ ღირსეული შვილია! რაც ხანს-კი ის ლაპარაკობდა, არჟელესი ჩუმად, გონივრულად უგდებდა ყურს; ეხლა-კი, აგერ, უახლოვდება, მის წინ მუხლებზედ ეცემა, იღებს მისს ხელებს და დაბალის ხმით ეჩურჩულება:

„ჩემო ტურფავ! კარგად იცი, როგორ გაღმერთებ! საჭიროა მხოლოდ მანიშნო და მზა ვარ, სიხარულით ჩავვარდე ცეცხლში! ამ სიყვარულის გამო, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, ყოველგვარ უსიამოვნებისაგან დაგიფარო, ჩემო მეგობარო! ოჰ, რამდენად სასიამოვნო იქმნება ჩემთვის, რომ მუდამ ჟამს შენთან ვიყო! არ გაგშორდე შენ,—აი რაა ჩემი ბედნიერება! ვერაფერი, გესმის მეგობარო, ვერაფერი: არც საფრთხე, არც პასუხის-გება ვერ შემაშინებდა, რომ მარტო შენ შესახებ იყოს ლაპარაკი! განა ვერ ჰხედავ, როგორა მძულს შენი ქმარი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ იმისი ხარ; განა არ გესმის, როგორ ვიტანჯები და რა უსაზღვრო სურვილი მაქვს, მხოლოდ ჩემი იყო, ჩემო სიმდიდრევ! მაგრამ მე მოვალე ვარ, თუნდაც ეს მწარე ტანჯვად დამიჯდეს, ისე მოგექცე, რომ ქვეყნის თვალში პატივის-ცემა და სიყვარული არ დაჰკარგო? მე არა მაქვს იმისი უფლება, რომ სწორესა და კანონიერს სიცოცხლეს მოგაშორო და იმ პირობაში ჩაგაყენო, რომლის წყალობითაც ყველასაგან თითით საჩვენებელი უნდა გახდე. ქვეყანა დაუნდობელია და სასტიკადა სჯის იმათ, ვინც მის მიერ დაგებულს საფრთხეს ზიზღით უყურებს; ამიტომ საჭიროა დავემორჩილოთ.“ ბ-ნი არჟელესი ეუბნები ამას და ბევრს სხვას ისეთი მხურვალე სიტყვებით, უხატავს ისე ზრდილობიანად ცხოვრების გარეშე ტანჯვის საზარელს სურათს, იმისთანა მომხიბლველის ალერსით სცვლის ლაპარაკის კილოს, რომ მშვენიერი ყმაწვილი ქალი თვალებს მიწას-ღა აშტერებს და თითქმის რწმუნდება. მხოლოდ აი რაა: ის ეხლა ცოტა ხანს კიდევ იჯდება არჟელესის გვერდით.

— ეს იმისს ნდობას არაფრით ავნებს,-ჰფიქრობს ქალი“, ის მისწერს ქმარს, რომ დღეს უფრო დიდს ხანს დარჩება თავისს ავადმყოფს დედასთან და ბ-ნი არჟელესი ლაქიას უბრძანებს, წერილი კომისსიონერის ხელით გარდასცეს.

— საუცხოვო აზრია! შეჰყვირა არჟელესმა—ოჰ, რა კეთილი ხარ, ჩემო ძვირფასო!

აგერ დაჯდა ქალი, დასწერა, დაჰბეჭდა, თვითონვე გარდასცა წერილი მსახურს ნახევრად ღია კარებიდგან და უბრძანა წაეღო...

მერე, თითქოს დაივიწყა ის სიმწარე და გაჯავრება, რომელიც მას არჟელესმა მიაყენა, ღიმილით მოჰხვია არჟელესის კისერს თვისი ტიტველა მკლავები და ნელა, ძალიან ნელა დაუწყო ლაპარაკი; თავი ძირს დაჰხარა და ნაზად აკოცა შუბლში.

მაგრამ ეხლა ის აღარ არის, რაც წინად იყო. აღარა ჩანს ის თავდაუჭერელი სიყვარული, რომელიც იმავე გვარ აღელვებით იხატება. მართალია ის კიდეც იცინის, კიდეც ერთობა, თვალსაც უშვრება, მაგრამ წინანდებურად გულმიკვდომით-კი აღარ ეკითხება: „არ დამივიწყებ, ჩემო მეგობარო, განა?“ —ის ეხლა პრანჭვით ეუბნება: „ლამაზი ვარ განა?“ ქალი ეხლა თითქმის მიმხვდარია, რომ წინად მეტის-მეტად რომანტიულად იქცეოდა, რომ ღრმა გრძნობებს მეტი ადგილი აქვთ უფრო წიგნებში, ვიდრე ცხოვრებაში.

— რა ბედნიერებაა,ამბობს ქალი თავისთვის; არჟელეს, სწორედ გონივრულად მომექეცი, რომ იმ სისულელის ჩადენის ნება არ მომეცი. მე, ჩემო მეგობარო, დიდი მადლობელი ვარ შენი! როგორ! შინ არ წავსულიყავ? გამომექვეყნებინა ჩემი კავშირი? ნუ თუ შემეძლო, ას მეფიქრა! არა! ამის შემდეგ ყოველთვის დაგემორჩილები — შენ ხომ ასეთი ჭკვიანი ხარ! მერე, რა მშვენიერება იქნება! რა უშფოთველად და ბედნიერად ვიცხოვრებთ! ოო, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენს როლებს კარგად ჩავატარებთ! მაშინ ჰნახავ, რა ხერხიანად მოვაწყობ საქმეს, რომ ყოველ დღე შემეძლოს შენი საიდუმლოდ ნახვა! ისეთის მოხერხებით გამოვიგონებ ხოლმე სხვა-და-სხვა მიზეზებს, რომ ჩემმა ქმარმა ეჭვი სრულიად ვერ აიღოს. და თუ მცირეოდენი ეჭვი მაინც არის შევატყე, მაშინ ალერსს გაუორკეცებ,—ეს-კი ხომ ტკბილად მიაძინებს მაშინათვე იმისს ეჭვს! ო, ჩემო ტურფავ, რქიანო ქმარო! მაშინ ნახე, რამდენს ვიცინებთ ხოლმე, არჟელეს, რამდენჯერაც-კი ჩემს ქმარს გავაბრიყვებ! მართლა კარგი იქმნება ეს, არა, მითხარი?!

არჟელესი ყურს უგდებს და უწონებს. მტერი ამაყ და წრეს გადასვლით გატაცებულ ქალებისა, ის კმაყოფილია, მხიარულია, რომ პრაქტიკულმა მოსაზრებამ გაიმარჯვა. იმისს მშვიდობიანს ხასიათს არ უყვარს თავდაუჭერელი გამოხატვა ვნებისა. აი ეხლა სწორედ რომ მოსწონს არჟელესს თავისი საყვარელი; ის მას აღარაფერს არ ავალებს, ვეღარც თუ რითმე გააშავებს, რადგანაც ყველა შეკერილ-დაფარულია და ჰსურს კიდეც, დიდხანს გასტანოს ამ ინტრიგამ. ამ ტკბილს ფიქრში წასული არჟელესი ალერსიანადა ჰკოცნის მისს თოვლივით თეთრს მხრებს.

— მაგრამ... რაა ეს?.. მოდიან? ფეხის ხმა ისმის კიბეზედ?.. ვინ უნდა იყოს, ნეტა?..

ეხლა ქალი ამაყად გასწორდა ფეხზედ, ცეცხლით აღსავსე თვალები არჟელესს თამამად გაუსწორა და თითქმის დაჰყვირა:

— „ეს... ჩემი ქმარია! მე მას ყველაფერში გამოვუტყდი! ეზოს კარის გასაღები გავუგზავნე. დიაღ! ჩემი ქმარი, რომელიც მოგვკლავს მეც და შენც, საცოდავო მხდალო!“

ინ—ანი.

ეძნელება 10—15 მანეთის გამომეტება, სულ იმას ჰფიქრობს მალაზიას რა შევმატოო, ხოლო ღარიბი, იმითი დარწმუნებული, რომ ეს ერთი თუმანი არაფერს მომმატებსო, უფრო სასარგებლოდ სთვლის გაზეთის გამოწერას.

ვაჭარს რომ უთხრათ, ხელის მოწერას ვმართავთ რომელისამე ღარიბ მოსწავლის სასარგებლოდ ან რომელიმე სამკითხველოს სასარგებლოდ და რამდენიც გემეტებოდეს შემწეობა აღმოგვიჩინეო, დაცინვით გიპასუხებს, რა შემწეობა გინდათ, მე თითონ შემწეობას ვსაჭიროებ და სხვას უნდა შევეწიოო? რამდენჯერ ყოფილა ლანჩხუთში საქველ-მოქმედო წარმოდგენა და როცა ვაჭრებისათვის მიგვიმართავს, შემწეობა-რამ აღმოგვიჩინეთ, უქმათ ნუ ჩაარონიებთ ჩვენს შრომას, ბილეთები იყიდეთო დაცინვით უპასუხნიათ: ერთი მანეთი ბილეთში მივცე და ორს საათს მასხარობას უყუროო, იმას ისარ სჯობიან, რომ ერთ მანეთა თერთს ფუთს ლობიოს ვიყიდი და მთელს მარხვაში მეყოფაო! რაში მეჭირვება თქვენი წარმოდგენა, მე ვაჭარი ვარ და ჩემი წარმოდგენა ის არის, რომ ფულები შევინახოო.

გალია.

## ბათუმი.

(მოწერილი ამბავი)

ჩვენის ახალის საბჭოს წარდგინება დაამტკიცა გუბერნატორმა, რაკი წარუდგინეს საბუთი, რომ ჯამაგირების მომატება მოსალოდნელს ხარჯთ-აღრიცხვაში დეფიციტს არ გამოიწვევსო. ამ ქაღალდის მოსვლისათანავე მოისპო ერთი დაბრკოლება, რომელიც სცვლიდა ჩვენს საქალაქო არჩევანებს და, როგორც ამას წინადაც გწერდით, 25 ამ თვეს კენჭმა გაასწორა ჩვენი დას-დისად დაყოფილი ხმოსნები. ქალაქის თავის თანამდებობაზედ სამმა კანდიდატმა იყარა კენჭი: ბ. ბიკოვმა, ბ. სევერინმა და ბ. ლუკა ასათიანმა. რა თქმა უნდა, ყველა ხმოსანი დაესწრო ამ სხდომას, სულ 36 კაცი. ბიკოვმა და სევერინმა მიიღო 16 თეთრი და 19 შავი კენჭი, ლუკა ასათიანმა 19 თეთრი და 17 შავი, ე. ი. ერთის კენჭით გაიმარჯვა. ამ გვარად ქალაქის თავად არჩეულ-იქმნა ლუკა ასათიანი. ამ სამს გარდა კანდიდატებად დაასახელეს კიდევ ბ. გრ. გრიელსკი და თავ. ნიკო ერისთავი, მაგრამ ორივემ უარი განაცხადა. საზოგადოება ფეხზედ წამოდგა და ერთხმად სთხოვა ერისთავს, რომ ქალაქის თავის თანამდებობაზედ კენჭი ეყარა, მაგრამ იმან პატივისცემისათვის მადლობა შესწირა ყველას და სთქვა, რომ სხვა-და-სხვა გარემოების გამო ამ ჟამად არ შემიძლიან ვიკისრო ქალაქის თავის თანამდებობა და თქვენი კეთილი სურვილი აღვასრულოო.

გამგეობის წევრობაზედ 9-ს უყარეს კენჭი, ბევრს ისეთს, რომელსაც გამარჯვებისა არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა: ყველასათვის ცხადი იყო იმათი გაშავება.

კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამოუვიდათ:

| | | თეთრი | შავი |
|---|---|---|---|
| 1. | ვოლსკის. | 27— | 8 |
| 2. | ივანოვს | 22— | 13 |
| 3. | მგელაძეს. | 14— | 21 |
| 4. | მავროპულოს. | 14— | 22 |
| 5. | მამულოვს | 13— | 23 |
| 6. | პოლსკის | 10— | 25 |
| 7. | ფარემუზოვს | 7— | 29 |
| 8. | კუბანიევს. | 6— | 29 |
| 9. | მურადოვს | 7— | 29 |

ამ გვარად წევრად არჩეულ-იქმნა გრ. ვოლსკი და ივ. ივანოვი. სეკრეტრად მარტო ბ. ივანე მესხს უყარეს კენჭი, რომელსაც ამოუვიდა 30 თეთრი და მხოლოდ 5 შავი.

იმედია, რომ ახლად არჩეულნი ამიერიდგან ხელის-ხელ ჩაკიდებულნი ერთგულად წარუძღვებიან საერთო და მძიმე საქმეს ჩვენის ქალაქის გაუმჯობესობისას და საზოგადო იმედებს გაამართლებენ.

ა.

## რუსეთის ცხოვრება.

„იურიდიული გაზეთი“ შემდეგს საზარელს ამბავს მოგვითხრობს:

ერთმა სოფლელმა თავისი ცოლი საავადმყოფოში ჩამოიყვანა. ქალი მეტის-მეტი ლამაზი იყო და სულ ორის წლის ჯვარ-დაწერილი. ექიმმა გასინჯა ავად-მყოფი, თავაზიანად მოეპყრო ქმარსა და ურჩია, ცოლი მოსარჩენად რამდენიმე დღეს საავადმყოფოში დაეტოვებინა. ქმარიც დასთანხმდა და ცოლი დასტოვა. ამ საავადმყოფოში მოსამსახურე ფერშალს ძლიერ მოეწონა ეს ქალი და არშიყობა დაუწყო. ყოველ ფეხის გადადგმაზედ უკან დასდევდა და სცდილობდა, როგორ დაეყოლებინა, მაგრამ ქალი არ ნებდებოდა. უსირცხვილო ფერშალმა ს. ერთხელ კარაპანში მოასწრო ავადმყოფს ქალს და ნამუსი აჰხადა. ქალს შერცხვა და დამალა, ვინემ ქმარი არ ჩამოუვიდა. ქმარს-კი ყველაფერი უამბო. შეურაცხყოფილმა კაცმა ცოლი წაიყვანა და გზაზედ ბოქაულს გამოუცხადა. ამასობაში ფერშალმა გაიგო, რომ უჩივლეს და მოსარიგებლად დაიბარა შეურაცხყოფილი ქმარი. კაცი დასთანხმდა და ფერშალმა ბოქაულთან ერთი თუმანი მისცა. გლეხმა აიღო თუმანი, ბოქაულს გარდასცა და უთხრა, რომ ეხლა-კი მოწამეები არ მეჭირვებაო“. იქვე ოქმი შეადგინეს და ფერშალი სამსახურიდგან იქმნა დათხოვნილი.

ინგლისელ ექიმების სიტყვით, რუსის ექიმმა ბ-ნმა ხავკინმა დიდი თანაგრძნობა და ყურადღება დაიმსახურა ინდოელებისა, სადაც ეხლა იგი იმყოფება და ხოლერას აცრითა სწამლობს. იგი არავითარს საშუალებას არა ზოგავს და თავ-განწირვით ებრძვის ამ საშიშ სენს. ერთხელ ავადაც-კი გახდა ამ სენით და რამდენიმე კვირა ლოგინად ჩავარდა. მორჩენის შემდეგ დიდისავე გულ-მოდგინებით შეუდგა თვის მიერ აცრილის ავად-მყოფების მოვლას (30,000 რიცხვით). მისი მოხსენება დიდად საყურადღებოა. ინგლისელმა ექიმებმა დიდი მადლობა გარდაუხადეს თავ-განწირულს მეცნიერს.

—

სარატოვის ერობის საგუბერნიო კრებაში ხმოსანნს უსაჩევს შეუტანია წინადადება—ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ აღკრძალულ-იქმნას რუსეთში არაყის გამოხდა და არაყით ვაჭრობა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს პროექტი შეწყნარებულ-იქმნას და თუ ეს მოხდა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ მიეგებება ამას რუსეთის ხალხი.

—

ქ. ორლეანის ერთის სტამბის ასოთამწყობლებმა შემდეგი ხელ-წერილი დასდეს:

„ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერლები აღთქმასა ვდებთ, რომ მუშაობის დროს, არამც თუ პირიდგან არ ამოუშვებთ ცუდსა და სალანძღავს სიტყვას, არამედ ჩვენს ამხანაგებს განსაცდელში არ ჩავაგდებთ, მით უმეტეს, რომ პირიდგან ამოსული ცუდი სიტყვები ჩვენს მშობლებს შეეხება, რომელთაც მოვალენი ვართ, პატივი ვცეთო. ჩვენ, როგორც განათლების სათავეში მდგომნი, მოვალენი ვართ ჩვენს დედმამას პატივით მოვეპყროთ და ჩვენ შორის ლანძღვაგინება განვდევნოთ, რათა თავი შევიკავოთ ხოლმე ცუდის სიტყვებისაგან. ჩვენის სინიდისით ჯარიმას ვადებთ თითოეულს ჩვენგანს, თუ ცუდს სიტყვას იტყვის, რის გამოც ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ.“

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** 23 იანვარს პარისში მოვიდა როშფორი. მთელი პარისი მიეგება ახლად განთავისუფლებულს როშფორს და ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ლაფაიეტისა და მონმარტრის ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. რკინის გზაზედ საგანგებოთ გაკეთებული პლატფორმაც-კი, რომელიც Intransigeant თანამშრომლებისა და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებისათვის იყო დანიშნული, დილითვე ხალხმა დაიკავა. ხოლო როდესაც როშფორი გამოჩნდა, ყველამ ერთხმად იგრიალა: „გაუმარჯოს როშფორსაო“.

როშფორის ეტლი ქუჩაზედ ძლივს მიდიოდა, რადგანაც აღტაცებული ხალხი გარს შემოეხვია, ვინც შორს იდგა, ისინი ხელსახოცებს უქნევდნენ და იძახოდნენ: გაუმარჯოს როშფორს, გაუმარჯოს რესპუბლიკასაო. სიხარულის გრძნობა მორეული როშფორიც აჰყვა ხალხის ხმას და ისიც ჰყვიროდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო“. ბევრის ხნის სიარულის შემდეგ როგორც იყო მიაღწია „intransigeant“-ის რედაქციას, სადაც შამპანიურის ღვინით მიეგებნენ.

იმისდა მიუხედავად, რომ დაღალული უნდა ყოფილიყო, როშფორმა ჩვეულებრივად ამ საღამოთიც დასწერა წერილი თავისის გაზეთისათვის. ამ წერილში იგი სხვათა შორის ამბობს: ათასი და ათი-ათასი პარისელი თუ მომეგება და აღტაცებით მიკრავდა ტაშს, ამას ჩემის წერილების გულისათვის-კი არ სჩადიან, არამედ ჩემის ცნობილის მოუსყიდველობის გამოაო. დანამდვილებით-კი არ ვიცი, მაგრამ შეიძლება მთავრობა საპოლიტიკო ამნისტიის მეოხებით სცდილობს, რომელიმე შემცდარის პოლიტიკოსის საქმე გაასწოროს. ეხლა-კი მგონი, თვალსაჩინო უნდა იყოს მთავრობისათვის, რომ ხალხი სრულს გაწმენდას თხოულობს, და მე დღეს იმიტომ დამიხვდა ასეთის აღტაცებით, რომ ჩემში ამ საქმის მომხრესა ჰხედავსო.

—

კაზიმირ პერიეს სამსახურიდგან გადადგომის შესახებ თითქმის ყოველ დღე აშკარავდება თითო ახალ-ახალი მიზეზი. იმ წერილმა, რომელიც «Journal de Rouan»-ში იყო დაბეჭდილი, ერნესტ დოდეს მხრივ ვრცელი წერილი გამოიწვია; ამ წერილით იგი დაწვრილებით გვიამბობს, რა მიზეზით დაანება თავი კაზიმირ პერიემ ელისეის სასახლეს; ეს წერილი „Figaro“-ში დაჰბეჭდა დოდემ. ამ წერილში მოყვანილია ბევრი იმისთანა რამ, რაც უკვე ცნობილი იყო,—მაგრამ იმავ დროს ახალიც ბევრია, რომელსაც მეტად სასაცილოდ გამოჰყავს კონსერვატიულის დასის კერპი. ერნესტ დოდე უარსა-ჰყოფს, ვითომ კაზიმირ პერიემ იმიტომ დაანება თავი პრეზიდენტობას, რომ მინისტრები საჭირო სახელმწიფო საქმეების შესახებ არაფერს აცნობინებდნენო. რასაკვირველია, მას საშინლად ეწყინებოდა ასეთი ამბავი, როგორც ჰესპანიის ელჩთან ლაპარაკი იმ დეპეშის შესახებ, რომლისაც პერიემ არა იცოდა რაო; მაგრამ საქმე ამაში არ არისო. პირველ მიზეზად ის უნდა იქმნას მიღებული, რომ პერიეს შეხედულებას წინ ეღობებოდა კონსტიტუცია იქ, სადაც მინისტრებსა და პარლამენტს ჰქონდა ხმა. იგი ამას ვერ ითმენდაო,—ამბობს დოდე,—მაგრამ ამავე დროს „რაღაც გაუგებარის მიზეზით არა სარგებლობდა ბევრ იმისთანა უფლებითაც-კი, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნოდაო“. მეორე მიზეზი ის იყო, რომ ჟურნალ-გაზეთობა მეტად ჩამოაცივდა და მოსვენებას არ აძლევდაო. სულ ტყუილად ჩაიარა დიუპუის რჩევამ. „ღვთის გულისათვის, ბ-ო პრეზიდენტო,—ეხვეწებოდა თურმე პირველი მინისტრი,—გაზეთებს ნუ ჰკითხულობთო.“ მაგრამ პერიე ამას ვერ ითმენდა და გაზეთებს უფრო მეტის გულმოდგინებით კითხულობდა. ამ საქმეში პერიეს ხელს უმართავდნენ სამოქალაქო კაბინეტის წევრნი, რომლებიც დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ასეთს ლანძღვა-გინებას ჟურნალ-გაზეთებში და უკითხავდნენ, რითაც მუდამ აღელვებდნენო. ამ აზრით ურჩია დიუპუიმ, ბეჭვდის საქმეში კანონ-პროექტი შეეტანა და მხოლოდ მაშინ ეთქვა უარი პრეზიდენტის დანამდებობაზედ, როდესაც იგი უარ-ყოფილი იქმნებოდა. პერიემ გონიერება იხმარა და უყურადღებოდ დასტოვა ეს რჩევაო. მაგრამ სამინისტროს კრიზისმა მოთმინების ფიალა გადაალიცლიცა და „კონსტიტუციის პატიმარმა“ განშორება გარდასწყვიტაო. დოდეს სიტყვით, კაზიმირ პერიეს უფლება ეძლევა, ჰესპანიის მეფის კარლოს IV შენიშვნა განიმეოროს, რომელიც მეფობაზედ უარის თქმის დროს წარმოსთქვა თურმე 1808 წელს: „ძლივს! მე თავისუფალი ვარ. ჩემის უმაღლესის ნების გარდაწყვეტილებას ასე არსად უსიამოვნებივარ, როგორც ახლაო“.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ სიმართლის აღსადგენად, „ივერიის“ ერთ-ერთს მახლობელს ნომერში ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს ისაია ასრათაშვილის პასუხად.

ასრათაშვილის წერილი იყო „ივერიის“ მე-20 ნომერში.

ისაია ასრათაშვილი ბრალსა მდებს, ვითომ წინად გამეძრახოს, დამექრთამოს მაჰანკალი 400 მან., რომ ამას ეშოვნოს ჩემთვის ყოვლისფრით შეკული და მდიდარი ქალი, რომ მაჰანკალსაც ერთი მდიდარი ობოლი ქალი ეცნოს საჩემოთ და ეს უკანასკნელი სასწავლებლიდგან მოეტაცნოს და წაეყვანოს ჩემ ნათესავთან; რომ ამის შემდეგ მაჰანკალს დეპეშა ეფრინებინოს ჩემთან, მე კიდევ ჰაი-არა ჩავჰრილიყავ ქალაქს. ბოლოს, როცა ქალმა შეიტყო, რაში მდგომარეობდა საქმეო, შექნა საშინელი ტირილი და ორი დღის უკან სასწავლებელში წაიყვანესო.

ეს ისაია ასრათაშვილის წერილი თავით ბოლომდის უმართებულო და და უკადრისი ჭორი და ცილის წამებაა. და აი საბუთებიც: მე არაფერი დეპეშა არ მიმიღია ქალაქში ჩამოსასვლელად, რაც ადვილი გამოსაკვლევია. ქალაქში ჩავედი 24 დეკემბერს, როცა სამსახურიდგან თავისუფალი ვიყავი, და მოხსენებული სასძლო ქალი გვარად ე. მირანდოვისა გავიცანი ჩემს ნათესავთან, საცა ის სტუმრად იყო, ერთის კვირის შემდეგ. ის მანდილოსანი, რომელსაც მაჰანკლადა ჰხდის ასრათაშვილი, არის ხაშმელი და მოვიდა ჩვენთან 28 დეკემბერს, რათა შეეტყობინებინა ჩემთვის, რომ ჩემი ახლო ნათესავები ჰსაჭიროებენ, რომ ხაშმში ავსულიყავი სხვა-და-სხვა შინაურის საქმეების გამო. ამ მანდილოსნისათვის თავის დღეში, და არც ეხლა, მაჰანკლობა არ დამივალებია, არც არაფერს დავპირებივარ და არც მქონია არა რაიმე საუბარი იმ ქალის შესახებ. იმ ცოტა ხანში სოფელ ნ—ში წაველი, სადაც ორიოდე დღე დავრჩი. როცა სოფლიდგან ჩამოველ, ე. მირანდოვისა გამაცნეს მღ. გ—ძის სახლში, როგორც სტუმარი და ტოლ-ამხანაგი გ-ძის ქალისა. ეს ქალი მოსულიყო სტუმრათ თავის ამხანაგთან უქმეებში და რადგან სახლის პატრონმა შეიტყო, რომ დათხოვნის მოწმობა არა ჰქონდა უთხრა: „პურაძეირობაში-კი არ ჩამომართოთ, არ იფიქროთ, რომ სტუმარი მძულდეს, მით უფრო არ უნდა იფიქროთ, რომ ჩემი ქალის ამხანაგი ყოფილხართ, მაგრამ თქვენი ყოფნა ჩემს სახლში ყოვლად შეუძლებელიაო“. სტუმარმა ქალმა ამაზედ ის უპასუხა, რომ საშიში არა გახლავთ-რა და მოიწადინა დარჩენა. რა ექნა ამ შემთხვევაში მასპინძელს?.. მაინცა და მაინც მანამ სასწავლებლიდან დათხოვნის ნებართვა არ მოუვიდა, სახლის პატრონმა ვერ ინდო ის ქალი სტუმრათა. იმ ხანებში ბიძაც მოუვიდა, როგორც თვით იმ ქალმა აღიარა. ე. მ—სა თავისს ბიძას კარგა ხანი ელაპარაკა, ხოლო რაზედ ის-კი არ ვიცი, ამასთან სოფელში წერილიც გაატანა. განა აქედგან აშკარად არა ჩანს, რომ ცოტაოდენი ან ძალის დატანება, ანუ სხვა რამე უსიამოვნება რომ მისდგომოდა, ის ქალი იმ სახლში აღარ დაედგებოდა და საშუალებაცა ჰქონდა წასულიყო? გარდა ამისა, როდესაც უქმეები გათავდა და ქალი ამის გამოისობით სასწავლებელში (ეპარხიალურ საქალებო სასწავლებელში) წაიყვანეს 6 იანვარს, თავის ნებით და არა ვისიმე ძალდატანებით, ისევ მობრუნდა გ—ძის სახლში, თავის ამხანაგთან და დარჩა კიდევ ორი დღე, რადგანაც ამ ორ დღესაც სწავლა არა ჰქონდათ. ეს არის ძალ-დატანება და საშინელი ტირილი, „მკვიდრო ქალის ბიძაშმილო“ რაც შეეხება იმას, თუ სად და რო-

გორს ქალს დავეძებდი, ანუ რამდენი წლისა ვარ (თუმცა აქაც «მკვიდრმა ბიძაშვილმა» კეთილ ინება და ბლომად მოუმატა ჩემს წლოვანებას) მე მგონია, ეს არ ეკუთვნის იმის „მკვიდრ ბიძაშვილობის“ გრძნობას, ამიტომ ამაზედ პასუხს არ გავცემ. უკანასკნელ იმით ვათავებ ამ ჩემ პასუხს, რომ სიმართლე და სამართალი არ დაკარგულა და ცილის წამებისათვის დაწერს ჯეროვანს პასუხს მოვსთხოვ სამართლის წესით; და თუ რამე უკანონობა, ანუ წესისა და პატიოსნების წინააღმდეგ მომიხდენია რამე—გამოჩნდება მაშინ, როდესაც პროკურორის კამერაში, ორგორც ასრათაშვილი იწერება, პასუხს შევიტანთ.

ნ. ძიძიკოვი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 თებერვალი.

**პეტერბურგი.** ბერინგისა და რუსმიერ გამოგონილის ყელ-ჭირვების წამლის მომზადებისა და გასყიდვის შესახებ შემდეგი წესდება დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრმა. სამკურნალო ფაკულტეტებს და მათ თანასწორს უმაღლესს სამკურნალო დაწესებულებათ ნება ეძლევათ ამზადონ და ჰყიდონ ყელ-ჭირვების წამალი. დანარჩენ დაწესებულებათ და კერძო კაცებმა ამ წამლის მომზადების ნებართვა უნდა აიღონ სამკურნალო დეპარტამენტისაგან. ამასთანავე წამლის გაკეთებას უსათუოდ ბაქტერიოლოგიის პრაქტიკულად მცოდნე ექიმი უნდა დაესწროს. მომზადებულის წამლის გასყიდვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც წამალი ჩასხმული იქმნება მაგრად თავ-დახურულს შუშებში, ზედ დაწესებულების ბეჭედი ექნება და აღნიშნული იქმნება ძალა წამლისა და დრო მომზადებისა.

უმაღლესად დამტკიცებულ-იქმნა აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის შესახებ, რომ გაძრიელებულ-იქმნას კერძო სამთო მრეწველობის მეთვალყურეობა და დაარსდეს შტატი დასავლეთ სამთო მმართველობისა.

„ბირჟ. ვედ.“ სიტყვით, სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში გაარჩევს ფინანსთა მინისტრის წინადადებას გლეხთა საზოგადოებისათვის სამეურნეო სესხის გადადების შესახებ.

**ლონდონი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ ცუნგ-ლი იაშენმა, რომელიც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მოელაპარაკა, დეპეშით აცნობა იაპონიაში გაგზავნილთ ჩინეთის დელეგატებს, რომ უკან დაბრუნდითო.

**ბრიუსელი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა პარლამენტში კანონ-პროექტი წარადგინა, რომლითაც თხოულობს რომ საერთაშორისო სახელმწიფო კონგო ბელგიის დამოუკიდებელ სამფლობელოდ გავხადოთ.

2 თებერვალი

**პარიზი.** დუელი მოხდა კანრობირის შვილსა და და დეპუტატ ჰუბარის შორის. ჰუბარი მკერდში დაჭრილი, დაშნით საკმაო საგრძნობელად.

**ბერლინი.** წინადადება ელზას ლოტრინგიაში დიქტატურის გაუქმების შესახებ მიიღო პარლამენტმა, ხმის უმეტესობით.

**ვენა.** „პოლიტიშე კორესპ.“ დავალებული ქვს გამოაცხადოს, რომ ოსმალოს მთავრობას არ განუზრახავს სათადარიგო (რეზერვისტების) ჯარის გამოწვევა.

**პრაგა.** პარლამენტში დიდი სკანდალი მოხდა. ავსტრიის მთავარ მართებელს ახალჩენთა დეპუტატებმა დაუწყეს ყვირილი, „ჩეხურად ილაპარაკეთო“ და მისცვივდნენ თავმჯდომარეს რომელიც გერმანელ ტომის დეპუტატებმა შემოზღუდეს. ლანდმარშალმა ვერ შესძლო წესიერება აღედგინა. მთავარ მართებელი კი ამ დროს აუჩქარებლად ლაპარაკობდა გერმანულად.

**რომი.** იტალიის მთავრობა შუამდგომლობს რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ რუსეთმა ლიმონისა და ფორთ ახლის ბაჟს დაუკლოს.

**ხიროშემი.** ვეი-ხაი-ვეიდან იუწყებიან დეპეშით 31 იანვარს. ჩინეთის დესპანი მოვიდა იაპონიის სარდალთან თეთრის დროშით და გამოუცხადა, იარაღის დაყრის თანხმობა, თუ რომ აფიცრებსა, ჯარის კაცთა, როგორც მეზღვაურთა აგრეთვე ციხეებში მყოფთა და ვეი-ხაი-ვეიში მომსვლელ საზღვარ გარეთელ სიკვდილის შიში არ ექნებათ მტრისაგანაო.

1 თებერვალი

**იოკაჰამა.** ყველა ციხეები ჩინეთისა ვეი-ხაი-ვეისთან აიღეს იაპონელებმა. ციზინის კუნძულზე აგებულ ციხემ შესწყიტა ზარბაზნის სროლა; ორი ჯავშნიანი გემი და ორი კრეისერიპ დაღუპეს. 13 ნაღმის ცეცხლის გემიდან ზოგი ტყვედ დარჩათ იაპონელთ და ზოგიც დასძირეს. იაპონელთ ერთი ნაღმიანი ცეცხლის გემი დაეღუპათ და ორიც გაუფუჭდათ. დანარჩენი ჩინეთის გემები და ციხეები ლიუკუნტაოს კუნძულზე ყოველი ესეები ჩინელთა ხელთ არის.

3 თებერვალი.

**ბერლინი.** საგანგებო ჩინეთის დესპანი პეტერბურგს წავიდა, რომელსაც თან გაჰყვა აქაური მუდმივი ელჩი და ამალა.

**ბუდაპეშტი.** რედაქტორს მაჯართა გაზეთისას სამსაჯულომ იმპერატორის შეურაცყოფისათვის რვა თვით დაპატიმრება გარდაუწყვიტა.

**სტამბოლი.** 5-დგან თორმეტამდე 61 კაცი გახდა ავად ხოლერით. ამათგანი 29 მოკვდა; უფრო ქალექ გარეთა უბნებში იხოცება ხალხი.

„ივერიის ფოსტა“

**ფოთი. ლ. წულაძეს.**—თქვენის სასაყვედურო წერილის გამო უნდა მოგახსენოთ, რომ Tempora mutantur et nos mutamur in illis. მხოლოდ რაც შეეხება თქვენს დრტვინვას, ამაში-კი დაგვერწმუნეთ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ.



# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პრობტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

თევდორე სოსიკას ძე გეგენავა უმორჩილესად სთხოვს, ვინც-კი მის მიერ დაკარგული სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები იპოვა გამოგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში.

3—უ.—1.

# ისყიდება

იაფ ფასად ხის ნახშირი, ვორობიოვის ქარხნისა. საწყობი შემდეგს ადგილებში აქვს: მეიდანი, სახლი ხერედინოვისა; იარმუკის ბაზარში, სასტუმრო „ქუთაისის“ ქვეშ; ვერა, სამგზავრო ფოსტის გვერდით; ავლაბარში, ვარდის მეიდანზედ; ჩუღურეთი, სასწვრის პირდაპირ; ავჭალის ქუჩასა, და ნემეცების ქუჩა-ქედ.

ახალის გადიდებულის ტომრებით, ოთხიდგან 4½-ს ფუთამდის, ტომარა 1 მან. და 15 კაპ.

(3-2)

# ცხოვრება

შეიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |

# „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50,, | 5 „ . . . | 5 „ 50,, |
| 10 „ . . . . | 8 „ 75,, | . . . | 4 „ 75,, |
| 9 „ . . . . | 8 „ —,, | 3 „ . . . | 3 „ 50,, |
| 8 „ . . . . | 7 „ 25,, | 2 „ . . . | 2 „ 75,, |
| 7 „ . . . . | 6 „ 50,, | 1 „ . . . | 1 „ 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**

წიგნი შეიცავს 600-მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის კრებული**

სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.